

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 3

ქ. გარდაბანი

30 ივლისი 2025 წელი.

14:00 სთ.

2025 წლის 30 ივლისს 14:00 საათზე ჩატარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N 3 სხდომა.

სხდომას უძღვებოდა - კომისიის თავმჯდომარე ლევან ნიჭარაძე.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

სამირ ხიალოვი
ისლამ მამედოვი
დავით ებილაშვილი
თორნიკე ქავთარაძე
მადონა გაბროშვილი
ანარ მურადოვი
ლაშა ქართლოსიშვილი
სახმან მირზოევი
გუსეინკულუ მუსაევი

არ ესწრებოდა: ტარიელ ჯანხოთელი, ზაზა ონიანი, აკიფ ისმაილოვი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი - ბესარიონ მაისურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი და კენჭი უყარა წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცებას.

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს დღის წესრიგი შემდეგი სახით:

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხილულ იქნა :

საკითხი 1 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 30 ივლისის №18-182521118 და №18-182521113 წერილებით წარმოდგენილი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელმა - ბესარიონ მაისურაძემ კერძოდ:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულების თანახმად გარდაბნის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 34,595 ლარი და შეადგინა - 10,582,933 ლარი.

"ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის N1098 განკარგულების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია დაფინანსება შემდეგი პროექტებისთვის:

- სოფ. საცხენისში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-17,100 ლარი;
- სოფ. ქვემო კაპანახჩის საჯარო სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა-43,000 ლარი;
- სოფ. ნორიოს საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის მოწყობა - 200,000 ლარი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის წერილის საფუძველზე ამოღებულ იქნა შემდეგი პროექტები:

- სოფ. გამარჯვებაში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია - 249,500 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის რეაბილიტაცია - 748,182 ლარი;
- სოფ. აღთაკლიაში კორპუსის ფასადების და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია - 537,084 ლარი;

სატენდერო ეკონომიის შედეგად გამოთავისუფლდა - 714,334 ლარი. შემცირდა სოციალური პროგრამები: „ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა“ - 10,000 ლარით და „უფროსი თაობის სოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ - 15,000 ლარით.

სულ - 2,274,100 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 250,000 ლარი;
- სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა - 10,000 ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - 20,000 ლარი;
- დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა - 15,000 ლარი;
- უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა - 15,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა - 15,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა - 60,000 ლარი;
- ბავშვთა პროგრამები - 15,000 ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა - 25,000 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება - 745,000 ლარი;
- ააიპ გარდაბნის სერვისი - 225,000 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი - 125,000 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის - 33,000 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მეგობრობის ცენტრი - 27,500 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი - 33,000 ლარი;

- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი - 35,800 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 132,000 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი - 267,400 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - 42,100 ლარი;
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება - 63,300 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, საქონელი და მომსახურების მუხლი - 100,000 ლარი;
- წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები - 20,000 ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8


წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა - 2

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა და მიზანშეწონილად მიაჩნია, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი, განსახილველად გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარე:



ლევანი ნიჟარაძე.